



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 05

13 01 2017 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 09 იანვრის N22-03 მოხსენებითი განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 13 იანვრის სხდომის N2 ოქმის მეორე საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 იანვრის N03/351 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 09 იანვრის N22-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს 1500 ლარის გამოყოფა გინესის რეკორდსმენის ეთიბარ ელჩიევსათვის, ქალაქ მარნეულში გასამართი ღონისძიების დასაფინანსებლად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ ზაურ ტაბატაძემ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
 საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი